სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

11 აპრილი, 2011 წელი, №56

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი

სასამართლოები აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას სულ უფრო ხშირად იყენებენ არასაპატიმრო ღონისძიებას. დასტურად ბოლო ორი კვირის სტატისტიკაც გამოდგება. თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებმა ბოლო ორი კვირის განმავლობაში 5 გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს. ბოლო გამამართლებელი განაჩენი ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გასული კვირის ბოლოს მიიღო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოქალაქე ნოდარ გიორგაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. ნოდარ გიორგაძეს ბრალი ედებოდა ბაღდათის რაიონში მცხოვრები ზ. ლ-ს საკარმიდამო ნაკვეთის მავთულბადის ღობისა და რამდენიმე ძირის ვაზის ნარგავების განზრახ დაზიანებაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

საქმის გარემოებების შესწავლისა და მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად სასამართლომ გაარკვია, რომ ნოდარ გიორგაძემ სახლის მახლობლად გაჭრა წყლის არხი, რასაც შესაძლებელია გამოეწვია მეზობლის ზ.ლ-ს ღობის და ვაზის ნერგების დაზიანება. თუმცა, ნოდარ გიორგაძის ქმედებაში რაიმე განზრახვა რომ მეზობლისთვის მიეყენებინა ზიანი არ დადასტურდა. აღნიშნულის გათვალისწინებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ ნოდარ გიორგაძე უდანაშაულოდ ცნო.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს სასამართლომ პროკურატურას 652 დაპატიმრების შუამდგომლობაზე უარი უთხრა და საბოლოო ჯამში, გირაო შეუფარდა 6467 პირს.

არსებული სტატისტიკით

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ევროსასამართლოს პრეცედენტი

დაარღვიეს თუ არა რუმინელმა ჟურნალისტებმა გამოხატვის თავისუფლების ევრონორმები

სამართლებრივი ხარვეზების გამოსწორება ნებისმიერ ქვეყანაში ხშირად სასამართლოს გზით ხდება, სადაც ზოგ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკასაც იყენებენ. ევროსაბჭოს ქვეყნები გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით იცავენ და ამიტომ, ევროსასამართლოს პრეცედენტების ცოდნა, მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველი იურისტებისთვის და მედიის წარმომადგენლებისთვის, არამედ საზოგადოების სხვა წევრებისთვის.

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი პრეცედენტია რუმინელი ჟურნალისტების კონსტანტინ კუმპანას და რადუ მაზარეს საქმე, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ განიხილა.

როგორც ევროსასამართლოში შესული მასალებით ირკვევა, ჟურნალისტმა კუმპანას გაზეთ «ტელეგრაფში", რომლის რედაქტორიც იყო მაზარე, დაბეჭდა სტატია, სადაც ეჭვქვეშ იყო დაყენებული ქალაქის მუნიციპალიტეტისა და საევაკუატორო ფირმა «ვინალექსს" შორის დადებული ხელშეკრულების კანონიერება.

სტატიას სათაურად ერქვა: "მერის ყოფილი მოადგილე დ.მ. და მოსამართლე რ.მ. ვინალექსის აფიორაში არაერთ დანაშაულზე აგებენ პასუხს". სტატიას თან ერთვოდა კარიკატურა, რომელზეც გამოსახული იყო მოსამართლე რ.მ. ბანკნოტებით სავსე, "ვინალექსის" წარწერიანი ჩანთით, იგი დახატული იყო ხელკავით მერის ყოფილ მოადგილესთან დ.მ-სთან.

რ.მ-მ, რომელმაც "ვინალექსთან" კონტრაქტს ქალაქის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწერა, როცა ამ ორგანიზაციაში სამართლებრივ ექსპერტად მუშაობდა, ჟურნალისტების წინააღმდეგ რუმინეთის სასამართლოში იჩივლა. მისი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

თემიდა - ჯილდო გამარჯვებულს

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართლებრივ ოლიმპიადას უმასპინძლა. სამართლებრივ ოლიმპიადაში გამარჯვებულ თსუ-ს გუნდს მიუკერძოებლობის სიმბოლო - თემიდა გადაეცა.

2

სასჯელი ჟურდული "სამყაროს წევრობისთვის"

"ქურდული სამყაროს" წევრობაში მსჯავრდებულებისთვის პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.

2

ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენი

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა 1993 წელს დაბადებულ, ამჟამად ძებნაში მყოფ, გიორგი ი-ს მიმართ, რომელსაც ბრალი დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობასა და 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარებაში ედებოდა.

3

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა სისტემატურად შემოგთავაზებთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს. ამჯერად, "სამართალი" პასუხებს გასცემს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ერთ-ერთი საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკისა და ამოღების პროცედურებს უკავშირდება.

გიორგი შავერდაშვილი, 58 წლის:

- რა მიზნით შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკისა და ამოღების პროცედურა?

- კანონით, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილი და ამოღებული იყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილისა და ცხედარის აღმოსაჩენად.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იყოს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.

ციცინო შენგელია, 43 წლის:

- რა უფლებები აქვს გამომძიებელს ჩხრეკის ან ამოღების განხორციელებისას და აქვს თუ არა უფლება, ეს საგამოძებო მოქმედება ჩატაროს სასამართლოს ნებართვის გარეშე? აქვს თუ არა გამომძიებელს უფლება, ჩხრეკაზე დამსწრე პირებს აუკრძალოს წასვლა საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე და ვალდებულია თუ არა ის, ჩხრეკისა და ამოღების დაწყებამდე რაიმე დოკუმენტი წარადგინოს?

- ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში - დადგენილების საფუძველზე გამომძიებელს უფლება აქვს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსოში ან სხვა მფლობელობაში. ამოღების ან ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში - დადგენილება გააცნოს პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. დადგენილების გაცნობა პირმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

გამომძიებელს უფლება აქვს, ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფ ან იქ მისულ პირებს ამოღების ან ჩხრეკის დათავრებამდე აუკრძალოს წასვლა, ერთმანეთთან ან სხვა პირთან ურთიერთობა, რაც ოქმში აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

ვახტანგ ენუქიძე, 25 წლის:

- აქვს თუ არა ჩრეკის ან ამოღების ჩამტარებელ პირს ჩხრეკისა და ამოღების მოქმედების შესრულება იძულებით?

- პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, გამომძიებელი სთავაზობს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას. ამოსაღები ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება ოქმში, ხოლო მის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან მისი არასრულად გადაცემის შემთხვევაში, ამოღება ხდება იძულებით.

მართლმსაჯულება

თემიდა - ჯილდო გამარჯვებულს

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართლებრივ ოლიმპიადას უმასპინძლა. სამართლებრივ ოლიმპიადაში გამარჯვებულ თსუ-ს გუნდს მიუკერძოებლობის სიმბოლო - თემიდა გადაეცა.

სამართლებრივი ოლიმპიადა საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში გაიმართა და მასში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტისა და კავკასიის სამართლის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

სამართლებრივი ოლიმპიადა საერთო სპეციალიზაციის მიხედვით (სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლი) 5 ეტაპად ჩატარდა: კაზუსის ამოხსნა; სამართლებრივი კითხვები; მეტყველება ორატორობა; სამართლებრივი შეცდომების კორეკტირება და დებატები.

სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების შვიდ წევრიანი გუნდები, ერთმანეთს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უზიარებდნენ. კერძოდ, სტუდენტები ერთმანეთს; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალის, სისხლის სამართალის, სისხლის სამართლის პროცესის, სამოქალაქო სამართალის, სამოქალაქო სამართლის პროცესის, ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის პროცესის უკეთ ცოდნაში ეჯიბრებოდნენ. სტუდენტებს მრავალრიცხოვან ქომაგებთან ერთად, უნივერსიტეტების რექტორებიც გულშემატკივრობდნენ. საუკეთესო გუნდად კომპეტენტურმა ჟიურიმ თსუ დაასახელა.

სამართლებრივი ოლიმპიადის მიზანია სასამართლოსა და მომავალი იურისტების დაახლოება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და რაც მთავარია, დანაშაულის პრევენციაზე ზრუნვა.

საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ეფექტიანობა, გამჭვირვალობა, კომპეტენტურობა - სასამართლო რეფორმის თანამედროვე გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში". კონფერენცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ორტვინ ჰენიგმა გახსნეს.

კონფერენცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის და გაერო-ს განვითარების პროგრამის ორგანიზებით ჩატარდა. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სასამართლოების ასამდე წარმომადგენელი.

კონფერენციაზე ექსპერტების სახით მოწვეული იყვნენ სასამართლო ორგანოების პატიოსნებისა და მოუსყიდველობის განმტკიცების საკითხებზე მომუშავე სამოსამართლო ჯგუფის (Judicial Integrity Group) წარმომადგენლები, მათ შორის ჯგუფის კოორდინატორი ნიჰალ ჯაიავიკრამა, ჯგუფის წევრი და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე პროფესორი რუდოლფ მელინგჰოფი, ჯგუფის და ასევე ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს წევრი, გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლორდი ჯონათან მანსი, სასამართლო სისტემის ეფექტიანობის ევროპული საბჭოს (CEPEJ) ვიცე-პრეზიდენტი გეორგ სტავა და ბოლონიის სასამართლო სისტემის კვლევის ინსტიტუტის მკვლევარი ფრანჩესკო კონტინი.

კონფერენციის დასასრულს გამართული დისკუსიის შედეგების საფუძველზე მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები რეფორმების მიმართულებებთან დაკავშირებით.

სასჯელი ქურდული "სამყაროს წევრობისთვის"

"ქურდული სამყაროს" წევრობაში მსჯავრდებულებისთვის პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.

დამირ კირცხალიას, ლუკა მეგრელიძის, იოსებ სორდიას და ზურაბ გოგიას ადვოკატების არგუმენტები სააპელაციო სასამართლოსთვის არასაკმარისი აღმოჩნდა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოთხოვნა და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დამირ კირცხალია, ლუკა მეგრელიძე იოსებ სორდია და ზურაბ გოგია "ქურდული სამყაროს" წევრობაში დამნაშავეებად ცნო და ხუთიდან შვიდ წლამდე პატიმრობა მიუსაჯა.

საქმის მასალების თანახმად, "ქურდული ტრადიციების" მიმდევრები აღიარებდნენ "კანონიერი ქურდების" ავტორიტეტს და ხელს უწყობდნენ ქურდული წესების ფუნქციონირებას.

საქმის მასალების თანახმადვე, მსჯავრდებულები "ქურდული გარჩევის" გზით ცდილობდნენ სარგებელის მიღებას ზ. ლორჩოშვილისგან. დაზარალებულმა დახმარებისთვის სამართალდამცველ ორგანოებს მიმართა.

დაგეგმილი ოპერაციის შესაბამისად, მან "ქურდული სამყაროს" წევრებს იდენტიფიცირებული 10 000 აშშ დოლარი გადასცა, რის სანაცვლოდაც, ქურდული ტრადიციების მიმდევრები მას კომერციული საქმიანობის მფარველობას შეპირდნენ.

ოთხივე წევრის დაკავება დაგეგმილი ოპერაციის მსვლელობისას განხორციელდა.

განაჩენი სააპელაციო წესით დაცვის მხარემ გაასაჩივრა და მსჯავრდებულთა გამართლება მოითხოვა. ოთხივე მსჯავრდებულმა სხდომაზე უარყო "ქურდული სამყაროს" წევრობა. მათი განმარტებით, ასაღები თანხა დაზარალებულს ვალის სანაცვლოდ უნდა გადაეხადა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია ისიც, რომ იმატა საქმეებმა, რომლებზეც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოებში შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. ასეთ შემთხვევებში, კონკრეტული პირის მიმართ ფაქტობრივად, გამამართლებელი შედეგი დგება. 2010 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ შეწყდა 199 საქმე - 240 პირის მიმართ.

რაც შეეხება სრულ და ნაწილობრივ გამართლებას, 2010 წელს 36 საქმეზე - 60 პირის მიმართ დადგა სრული ან ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში განაჩენების 30 პროცენტი იცვლება მსჯავრდებულის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლო იღებს პროკურატურის მოთხოვნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას და მსჯავრდებულს უმცირებს სასჯელს, ან კვალიფიკაციის ნაწილში მის სასარგებლოდ ცვლის გადაწყვეტილებას.

24-წლიანი პაზიმრობა დის მკვლელობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა ბრალდებულ რატი რ-ს საქმის განხილვა. მას ბრალად ედებოდა, განზრახ მკვლელობა, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, ასევე, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება.

საქმის მასალების მიხედვით, 2010 წლის 28 ოქტომბერს რატი რ. დასთან - ელენე რ-სთან ერთად იმყოფებოდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, რომელიც მდებარეობდა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე. დაახლოებით 00:30 საათისთვის რატი რ.-სა და ელენე რ.-ს ფულთან დაკავშირებით სიტყვიერი კონფლიქტი მოუვიდათ, რაც გადაიზარდა სერიოზულ ჩხუბში. ჩხუბის დროს რატი რ.-მ სხვადასხვა საგნების გამოყენებით, ელენე რ.-ს რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენა, რის შემდეგაც ფიზიკური ძალის გამოყენებით ელენე რ. მიიყვანა საცხოვრებელი ბინის ოთახის ფანჯარასთან, გამოაღო იგი და მოკვლის მიზნით მეხუთე სართულიდან გადააგდო. ელენე რ. მიღებული დაზიანებების გამო გარდაიცვალა.

გამოძიების მტკიცებით, ბრალდებულმა ასევე, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი», რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

გამოძიების ეტაპზე ბრალდებულ რატი რ-ს მოწმის სახით დაკითხვისას გამომძიებელს გაუჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ იგი იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, რის გამოც დაკითხვა შეწყდა. რატი რ.-ს ნარკოლოგიური შემოწმების შემდეგ ეჭვი დადასტურდა.

ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, მან გამოძიების ეტაპზე განმარტა, რომ ელენე რ. შემთხვევით გადავარდა ფანჯრიდან, ხოლო სასამართლოში განაცხადა, რომ მისი და ფანჯრიდან გადახტა. თუმცა, საქმის არსებითი განხილვისას, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადასტურდა მოწმეთა ჩვენებებით. მოწმის სახით დაიკითხენ რატი რ-ს მეზობლები, რომელთა განმარტებითაც დაძმას ხშირად მოსდიოდა ჩხუბი იმის გამო, რომ რატი რ. იყო ნარკოტიკების მომხმარებელი და ელენე რ. ამის გამო ეჩხუბებოდა. ერთ-ერთმა მოწმემ განმარტა, რომ მკვლელობის ღამეს, კარგად გაარკვია, თუ როგორ სთხოვდა ელენე ძმას დამშვიდებას. ასევე, მოწმის ჩვენებით, ელენეს ძმა აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და ხშირად სთხოვდა ფულს. როგორც მოწმემგანაცხადა, 2009 წლის ნოემბერში, ერთ-ერთი ასეთი შელაპარაკების დროს, აღელვებული ელენე მივიდა მასთან და უთხრა, რომ აღარ შეეძლო ძმასთან ცხოვრება, ვინაიდან, რატიმ ფულის გამო სცემა და ჩაქუჩით დასდევდა მოსაკლავად.

სასამართლო მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზით მივიდა დასკვნამდე, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობით სრულად დასტურდება რატი რ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება.

სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ გაითვალისწინა რატი რ-ს პიროვნება და მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი, აგრეთვე ის, რომ მან დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრისთვის დადგენილი გამოსაცდელი ვადის პერიოდში.

სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და საბოლოოდ, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 24 წლის, 9 თვის და 17 დღის ვადით.

"ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - შენ ირჩევ"

საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს ორგანიზებით, სტუდენტებისა და უფროსკლასელებისთვის გაიმართა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღეს თბილისის, ახალციხის, ბათუმის, გორის, ხაშურის, რუსთავის, თელავისა და ზუგდიდის სასწავლებლების მოსწავლეებმა და სტუდენტებმა.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ღია კარის დღე მოეწყო. ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა საქართველოში ჯარედ ქემბელმა, თბილისის პროკურორის მოადგილე გირშელ ძებნიაურმა, იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნინო ბერუაშვილმა ახალგაზრდებს კონკურსის დეტალები გააცნეს.

სტუდენტურ და სასკოლო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ საჯარო სკოლების უფროსკლასელებსა და უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის I და II კურსის სტუდენტებს.

თბილისის პროკურორის მოადგილე გირშელ ძებნიაური ახალგაზრდებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მნიშვნელობაზე ესაუბრა.

"საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული ეს რევოლუციური ცვლილება საშუალებას გვაძლევს საზოგადოების წარმომადგენლები ნაფიცი მსაჯულების სახით უშუალოდ ჩაერთონ მართლმსაჯულების განხორციელებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მოსამართლეს პროცესის წამყვანის ფუნქცია ეკისრება, გადაწყვეტილებას კი კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ნაფიცი მსაჯულები დამოუკიდებლად იღებენ," - განაცხადა ახალგაზრდებთან შეხვედრაზე გირშელ ძებნიაურმა.

აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელმა ჯარედ ქემბელმა სტუდენტებსა და მოსწავლებს განუმარტა, კონკურსის პირობები. ჯარედ ქემბელის თქმით, ფინალურ ეტაპზე გასული კონკურსანტებიდან საუკეთესო ნაშრომის ავტორებს - სამ მოსწავლესა და სამ სტუდენტს საელჩო გამოავლენს და მათ სპეციალურ პრიზები გადაეცემათ.

პროკურატურისა და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებმა კონკურსში მონაწილეობის მსურველთა შეკითხვებს უპასუხეს.

კონკურსში "ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - შენ ირჩევ", მონაწილეობის მსურველებს განაცხადების წარმოდგენა 2011 წლის 29 აპრილამდე შეუძლიათ.

ლაშა ვეკუა,
47 წლის:

- შეიძლება თუ არა, ჩხრეკის ან ამოღების დროს, ამ მოქმედების შემსრულებლებმა ამოიღონ ისეთი საგანი, ნივთი, რომელიც სასამართლოს მიერ გაცემულ განჩინებაში ან დადგენილებაში არ არის მითითებული?

- ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღნიშნულია განჩინებაში ან დადგენილებაში. ასევე ამოღებულ უნდა იყოს ინფორმაციის შემცველი ყველა სხვა ობიექტი, რომელსაც, შესაძლოა, მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული საქმისათვის ან რომელიც აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულზე, აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

რაც მთავარია, ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, ამოღების შემდეგ, დაწვრილებით უნდა აღიწეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში, შეიფუთოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში.

ლეილა იოსელიანი,
38 წლის:

- აქვს თუ არა გამომძიებელს უფლება, ჩრეკისას გააღოს დაკეტილი სათავსო? კანონით, რა შემთხვევაში შეიძლება ჩხრეკის ადგილზე მყოფს პირს ჩაუტარდეს პირადი ჩხრეკა?

- სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელს უფლება აქვს, გააღოს დაკეტილი საცავი, სადგომი და სათავსო, თუ გასაჩხრეკი უარს ამბობს, ნებაყოფლობით გააღოს ისინი.

დასაშვებია ჩხრეკის ან ამოღების ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამალა ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ასეთი შემთხვევა ითვლება გადაუდებელ აუცილებლობად და პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების და გამომძიებლის დადგენილების გარეშე. ჩხრეკის ან ამოღების კანონიერებას ამოწმებს სასამართლო.

რამაზ გუგუშვილი,
44 წლის:

- როგორ ტარდება ჩხრეკასა და ამოღებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში და ითვალისწინებს თუ არა კანონი რაიმე განსაკუთრებულ წესს ამ შემთხვევაში?

- რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ამოღებისა და ჩხრეკის პროცედურას. ჩხრეკა უნდა ჩატარდეს ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის დასწრებით.

ევროსასამართლოს პრეცედენტი

პირველი გვერდიდან

განცხადებით, სტატიის მკითხველი იფიქრებდა, რომ იგი მერის ყოფილ მოადგილესთან ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ორივე მათგანი დაქორწინებული იყო.

ამ ფაქტის გამო კონსტანტინ კუმპანა და რადუ მაზარე მსჯავრდებულნი იქნენ შეურაცხყოფასა და დიფამაციაში და მიესაჯათ 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთა, აეკრძალათ გარკვეული სამოქალაქო უფლებების რეალიზება და ჟურნალისტად მუშაობა ერთი წლის განმავლობაში. მათ აგრეთვე დაეკისრათ რ.მ-სთვის განსაზღვრული თანხის გადახდა არამატერიალური ზიანის მიყენების გამო.

ჟურნალისტებმა განაჩენი გაასაჩივრეს მეორე ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ მათი სააჩივარი არ დაკმაყოფილდა. თუმცა, მოგვიანებით, კონსტანტინ კუმპანი და რადუ მაზარე რუმინეთის პრეზიდენტმა შეიწყალა და ამიტომ არ მოუწიათ თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოხდა. აგრეთვე, ჟურნალისტებმა განაგრძეს თავიანთი პროფესიით მუშაობა.

მიუხედავად ამისა, კონსტანტინ კუმპანამ და რადუ მაზარემ განაცხადი შეიტანეს სტრასბურგის სასამართლოში. ისინი დავობდნენ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, რომ სტატიის გამოქვეყნების გამო მსჯავრდების შედეგად დაირღვა მათი გამოხატვის თავისუფლება.

მიუხედავად, ჟურნალისტების დავისა, ევროსასამართლოს პალატამ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: "სტატია არ უწყობდა ხელს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხზე დისკუსიის წარმოებას, აზიანებდა რ.მ-ს ავტორიტეტს საზოგადოების თვალში და სცდებოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს იმით, რომ იჭრებოდა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში." აგრეთვე, სტრასბურგის მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ ეროვნული სასამართლოების განაჩენში მითითებულია ჟურნალისტების მსჯავრდების დამასაბუთებელი გარემოებები. ამიტომ, სრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პალატამ, ხუთი ხმით ექვსის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

ამის შემდეგ, რუმინელმა ჟურნალისტებმა მოითხოვეს საქმის სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატისთვის გადაცემა. ქვედა პალატისგან განსხვავებით, დიდმა პალატამ განაცხადა, რომ სტატია ხელს უწყობდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხზე დისკუსიის წარმოებას. ჟურნალისტებს ჰქონდათ უფლება, პრესის მეშვეობით, საზოგადოების ყურადღება მიეპყროთ მოცემული საკითხისთვის. სასამართლომ მიუთითა, რომ ჟურნალისტებს იმის გამო, რომ მითითებული ჰქონდათ კონკრეტული სახელები, თანამდებობები და აშკარად ბრალს სდებდნენ მათ არამართლზომიერ ქცევაში, ეკისრებოდათ ვალდებულება, ემოქმედათ კეთილსინდისიერად და საზოგადოებისთვის ზუსტი და სარწმუნო ინფორმაცია მიეწოდებინათ, რასაც ადგილი არ ჰქონია.

"ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რუმინეთის ხელისუფლების მიერ ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და მათი შეურაცხყოფისა და დიფამაციისთვის მსჯავრდება «მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების" მოთხოვნას აკმაყოფილებდა," - ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში და იქვე განმარტებულია: "მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაკისრებული სასჯელები ძალზე მკაცრი იყო. სასამართლოს განცხადებით, საპატიმრო სასჯელების დაკისრება გამოხატვის თავისუფლების საქმეზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება გამართლდეს, კერძოდ, როცა საქმე ეხება შუღლის გაღვივებასა და ძალადობის მოწოდებას და არა დიფამაციასა და შეურაცხყოფას. ამას გარდა, გარკვეული სამოქალაქო უფლებების რეალიზების აკრძალვა, რაც რუმინეთში მეორადი სასჯელია და ავტომატურად ეკისრება პირს, განსაკუთრებით არაადეკვატურად იქნა მიჩნეული, ვინაიდან განმცხადებლებმა სისხლის სამართლის წესით აგეს პასუხი.

ევროსასამართლოს დიდი პალატის მიერ განმცხადებლებისთვის ერთი წლის განმავლობაში ჟურნალისტად მუშაობის აკრძალვა განსაკუთრებულ სიმკაცრედ ჩაითვალა. «მისი გამართლება არ შეიძლებოდა მხოლოდ დანაშაულის განმეორების რისკით. მსგავსი აკრძალვა ეწინააღმდეგებოდა პრესის, როგორც საზოგადოებრივი მეთვალყურის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში."

საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, კონსტანტინ კუმპანას და რადუ მაზარეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა შეიძლება გამართლებული ყოფილიყო, მაგრამ სისხლისსამართლებრივი სანქცია და თანმდევი აკრძალვები, რომლებიც მათ რუმინეთის სასამართლოებმა დააკისრეს, თავისი ხასიათითა და სიმკაცრით აშკარად არათანაბარზომიერი იყო იმ ლეგიტიმურ მიზანთან, რომელსაც განმცხადებლების დიფამაციისა და შეურაცხყოფისთვის პასუხისგება ისახავდა. ამიტომ, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენი

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა 1993 წელს დაბადებულ, ამჟამად ძებნაში მყოფ, გიორგი ი-ს მიმართ, რომელსაც ბრალი დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობასა და 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარებაში ედებოდა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე საშუალო სკოლის ეზოში, ამავე სკოლის მერვე კლასის მოსწავლეს გიორგი ი-ს ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა მეშვიდე კლასის მოსწავლე ბექა მ-სთან. კამათის დროს გიორგი ი-მ დანით, რომელიც თან ჰქონდა, ბექა მ-ს გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მიუხედავად გაწეული გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა ბექა მ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გიორგი ი. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამწუხაროდ, სასამართლო გამოძიებისას დადგინდა, რომ მოზარდებს შორის უსიამოვნების მიზეზი ბანალური შემთხვევა გახდა. კერძოდ, ბექა მ. საკუთარ ბინაში, იმყოფებოდა, როცა მამას, რომელიც ეზოში მეზობლებს ესაუბრებოდა, აივნიდან დაუძახა და ეზოში ჩასვლის ნებართვა სთხოვა, რაზეც მამისგან უარი მიიღო. მიუხედავად აკრძალვისა, ბავშვი ეზოში მაინც ჩავიდა და იქვე მდებარე სუპერმარკეტში შევიდა, სადაც ის მეგობრებს შეხვდა და მათთან ერთად სკოლის ეზოსკენ გაემართა. სწორედ სკოლის ეზოში მოხდა მეგობრებს შორის შელაპარაკება. მან იასონ მ-ს და გიორგი ი-ს, რომლებიც ჩხუბობდნენ, დამშვიდება ცადა, რა დროსაც გიორგი ი-მ დანა ამოიღო და მას გულის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. გიორგი ი-მ დანა სხვა მეგობრებსაც მოუქნია, მაგრამ მათ გაქცევა მოახერხეს. გაქცევა დაჭრილმა ბავშვმაც სცადა, მაგრამ სკოლის კუთხეში უგონოდ წაიქცა.

საქმესთან დაკავშირებით გიორგი ი-ს დაკითხვა ვერ მოხერხდა, რადგან, როგორც ბრალდებულის, ასევე მისი ოჯახის წევრების ადგილსამყოფელი სამართალდამცაველებისთვის უცნობია.

გიორგი ი-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურდა მოწმეთა ჩვენებებით, დანაშაულის ადგილის დათვალიერების ოქმებით, ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

არსებული მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ი. დამნაშავედ ცნო და მას დანაშაულთა ერთობლიობით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მას დამატებითი სასაჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. კანონის მიხედვით, ჯარიმის გადახდა მის მშობლებს დაეკისრათ.

ძებნაში მყოფ გიორგი ი-ს სასჯელის ათვლა განაჩენის აღსრულების მომენტიდან დაეწყება.

სპეციალური მუხლით დადგენილი წესები

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქე უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა და ვინ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს მსჯავრდებულისთვის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და მისი სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ და საბოლოოდ, ვინ იღებს გადაწყვეტილებას ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით - ამ საკითხს სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში სპეციალური მუხლი ეთმობა.

იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს მოქალაქე უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, საქართველოს მთავარი პროკურორი უფლებამოსილია გამამტყუნებელი განაჩენის მიღების მომენტიდან 3 თვის განმავლობაში, შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვოს ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურება.

საქართველოს მთავარი პროკურორის ეს შუამდგომლობა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 3 თვის ვადაში უნდა განიხილოს. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის თანახმად, მთავარი პროკურორის შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ მსჯავრდებულს და მის ადვოკატს ან კანონიერ წარმომადგენელს. მხარეთა გამოუცხადებლობა შუამდგომლობის განხილვის დაბრკოლების მიზეზი ვერ გახდება.

მთავარი პროკურორის შუამდგომლობის განხილვის საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურებისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შესაბამისობის არარსებობისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

განჩინებაში უნდა აღინიშნოს უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, განაჩენის გამოტანის დრო, მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის შესახებ, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, სისხლის სამართლის კანონის შესაბამისი მუხლის მითითებით. განჩინებაში ასევე მითითებული უნდა იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შესაბამისი დანაშაულის ჩადენისათვის.

რაც მთავარია, განჩინება საბოლოოა და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. ახალი კოდექსით, პროკურორი უფლებამოსილია, განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სარჩელი მსჯავრდებულის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com